ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1362904

ნომერი: AR1227770

თარიღი : 10.06.2014

გაცემის თარიღი : 02.07.2014

გაცნობის თარიღი : 03.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 15 , (ნაკვეთი N1/55) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო ესართია პ/ნ 19001025590
- ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

2014 წლის 10 ივნისის #AR1227770 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი #15-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ავტოსალონისა და სერვის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას გაცნობებთ, რომ საკითხი განიხილა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2014 წლის 19 ივნისის #23 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება.

პროექტის შესათანხმებლად ატვირთულ დოკუმენტაცია არასრულყოფილია და გააჩნია გარკვეული ტიპის ხარვეზები, კერძოდ:

1. ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლების გრაფაში მითითებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართი, ფართი გარე კონტურში და გამწვანების ფართი იდენტურია და ემთხვევა #1207101 17.04.2014წ. ბრძანებით შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტს, სადაც მითითებული ფართების შეფარდებით მიღებული კ1 და კ2 კოეფიციენტები სწორია. გამომდინარე აქედან ვერ დგინდება რაში მდგომარეობს პროექტის კორექტირება და რამ გამოიწვია კ1 და კ2 კოეფიციენების ცვლილება, წარმოდგენილი ფართების შეფარდებით არ მიიღება თქვენს მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის საშუალო კოეფიციენტები.

<u>#1207101 17.04.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:</u>

მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი: ---------- 11377.0 მ2
განაშენიანების ფართობი: ---------- 1680.85 მ2 კ1 = 0.1
საერთო ფართობი (გარე კონტურში): ---------- 2006.6 მ2 კ2 = 0.2
გამწვანების ფართობი: ---------- 4836 მ2 კ-3 = 0.5

<u>ხოლო თქვენს მიერ AR1227770 განაცხადით წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:</u>

მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი: ---------- 11377.0 მ2
განაშენიანების ფართობი: ---------- 1680.85 მ2 <u>(კ1 = 0.2)</u>
საერთო ფართობი (გარე კონტურში): ---------- 2006.6 მ2 <u>(კ2 = 0.3)</u>
გამწვანების ფართობი: ---------- 4836 მ2 კ-3 = 0.5

<u>გთხოვთ შესაბამისობაში მოიყვანოთ აღნიშნული და დააზუსტოთ მიწის ნაკვეთის საშუალო კ1 და კ2 კოეფიციენტები ფართებთან მიმართებაში;</u>

დოკუმენტაცია უნდა ატვირთოთ „განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული ალბომის ველში" => გრგ-ს ალბომის Pdf ფაილი და გრგ-ს CAD ფაილი (AutoCad-ის სახით).

განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 30 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 10 ივნისის, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 17 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 13 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.